პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

2017 წლის ----------

დ. ჩოხატაური

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კ ანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის დებულება (თან ერთვის).

მუხლი 2

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N29 დადგენილება - „ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 04/09/2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016210)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.